

დამტკიცებულია:

საქართველოს სახალხო დამცველის
2019 წლის 6 ივნისის #97 ბრძანებით

დანართი #1

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის

2019-2021 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც ზედამხედველობს ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვას.¹ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის² თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა.“

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია. აღნიშნულ საკითხზე მომუშავე სტრუქტურული ერთეული აპარატში 2008 წლიდან ფუნქციონირებდა, თუმცა 2015 წლიდან სახალხო დამცველის აპარატის მანდატი კიდევ უფრო გაძლიერდა. კერძოდ, 2014 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35.

² „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 3, პუნქტი 1.

მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს N6 სხდომაზე საქართველოს მთავრობამ სახალხო დამცველი დაასახელა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ეროვნულ დამოუკიდებელ მექანიზმად³.

გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების⁴ მიხედვით ეროვნული დამოუკიდებელი მექანიზმი დასახელებული მანდატის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ცნობიერების ამაღლება, შესაძლებლობების ზრდა და ტრენინგები; კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და პრაქტიკის შემოწმება კონვენციასთან შესაბამისობის კუთხით; ეროვნულ კანონმდებლობაზე კონვენციის გავლენის კვლევა; სახელმწიფოს მიერ გაეროს ორგანოებსა და კომიტეტებში წარსადგენი ანგარიშების მომზადებაში წვლილის შეტანა; საერთაშორისო, რეგიონულ და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; ინდივიდუალური და კოლექტიური განცხადებების/საჩივრების შესწავლა და ანგარიშების მომზადება; მონიტორინგის სისტემური მექანიზმის შექმნა, რომელიც შეაფასებს არსებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის იმპლემენტაციის შედეგებს, შეიმუშავებს ინდიკატორებს და მონაცემთა ბაზას კონვენციის პრაქტიკაში განხორციელების შესახებ.

გაეროს კომიტეტის მიდგომების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოსაზრებების და სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით სახალხო დამცველის აპარატში 2015 წლიდან ჩამოყალიბებული მონიტორინგის ეროვნული მექანიზმი მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტს და შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს. თითოეულს აქვს გამიჯნული ფუნქცია, თუმცა მონიტორინგის პრიორიტეტებისა და შინაარსის განსაზღვრისას წამყვანი როლი ენიჭებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებს. აღნიშნული უზრუნველყოფილია საკონსულტაციო საბჭოში მოწვეული წევრების სტატუსით მათი საქმიანობით.

მონიტორინგის მექანიზმისა და დეპარტამენტის შექმნიდან 4 წლის თავზე დღის წესრიგში დადგა საქმიანობის სტრატეგიის განახლება და დეტალური სამოქმედო გეგმის გაწერა, რაც ხელს შეუწყობს საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირებას, ფუნქციათა და არსებული

³ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია, მუხლი 33, პუნქტი 1.

⁴ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტის გაიდლაინი მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის საქმიანობის შესახებ, პარ. 13. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=CRPD/C/1/Rev.1 [ბოლოს ნანახია: 24.01.2019]

რესურსების სწორად გადანაწილებას და მონიტორინგისა და სხვა ღონისძიებების თანმიმდევრულად დაგეგმვას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის საქმიანობა

სახალხო დამცველის აპარატის დებულების⁵ მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი და გამოვლენილ დარღვევებზე ეფექტური რეაგირება. ხოლო, დეპარტამენტის ამოცანებს განეკუთვნება:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის ინდივიდუალური და სისტემური ხასიათის დარღვევების შესწავლა და მათზე ეფექტური რეაგირება;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგი;
- გ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძირითადი უფლებების და თავისუფლებების პოპულარიზაციისთვის.

ინდივიდუალური და სისტემური უფლებადარღვევების შესწავლა და რეაგირება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით⁶ განცხადების/საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით სწავლობს საქმეებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ქმედებებს ან აქტებს შშმ პირთა მიმართ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ.

დასახელებულ საქმეებზე რეაგირების ფარგლებში, დეპარტამენტი ითხოვს ინფორმაციას მოპასუხე უწყებებიდან, მუდმივ კომუნიკაციას აწარმოებს უფლებადარღვევის სავარაუდო მსხვერპლებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით კონსულტაციებს აწარმოებს პროფესიულ თემთან და ახორციელებს ვიზიტებს სიტუაციის ადგილზე გაცნობის მიზნით. უფლების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში,

⁵ სახალხო დამცველის აპარატის დებულება, მუხლი 26, პუნქტი 1.

⁶ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 12, 13, 14.

დეპარტამენტი ამზადებს სახალხო დამცველის წინადადების ან რეკომენდაციის⁷ პროექტს, იმ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების მიმართ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი მუდმივად ზედამხედველობს შშმ პირთა სხვადასხვა უფლების რეალიზების პროცესს, აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას კონკრეტული საქმეების, პოლიტიკისა თუ სისტემური მიდგომების თაობაზე.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის მანდატის ფარგლებში სახალხო დამცველის მიერ წარმოებული მონიტორინგი მოიცავს ქვეყნის კანონმდებლობის გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის კვლევას, სახელმწიფოს პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების ანალიზს, სახელმწიფო უწყებებისა და სხვა წყაროებისგან ინფორმაციის მოძიებას, შეკრებას, დამუშავებას, საველე სამუშაოების წარმოებას, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრასა და სხვა რელევანტური აქტივობების განხორციელებას.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი ინტეგრირებულია სახალხო დამცველის მიერ სხვადასხვა მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის პროცესშიც. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის დაწესებულებებში მყოფი შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს საქართველოს სახალხო დამცველი პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს, რომელშიც მონაწილეობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სპეციალისტები.

მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმად დასახელების შემდეგ, დეპარტამენტმა შეიმუშვა სხვადასხვა დოკუმენტი და ინსტრუმენტი, მონიტორინგის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით. მათ შორის: შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის კონცეფცია; შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს დებულება; მონიტორინგის ჯგუფის დებულება; შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის 2016–2017 წლების სამოქმედო გეგმა; შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მეთოდოლოგია; სხვადასხვა თემატური მონიტორინგების მეთოდოლოგიები (სპეციალიზებული ინსტიტუციების, დასაქმების, ინკლუზიური განათლების, დღის ცენტრების).

⁷ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21, „ბ“ ქვეპუნქტი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის შედეგად მომზადდა და 2017 წელს გაეროს შესაბამის კომიტეტს წარედგინა ალტერნატიული ანგარიში⁸ შშმ პირთა უფლებების განხორციელების მონიტორინგის შედეგების შესახებ, რომელიც ასახავს კონვენციაში მოცემული ყველა უფლების რეალიზების კუთხით ქვეყანაში არსებულ სიტუაციასა და გამოწვევებს.

ამასთან, 2015–2018 წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე მომზადდა 13 სპეციალური ანგარიში.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, „საქართველოს სახალხო დამცველი ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში“⁹. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატი, როგორც გაეროს შშმ პირთა უფლებების პოპულარიზაციის მექანიზმი, აქტიურად მუშაობს შშმ პირთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის, მართავს თემატურ შეხვედრებს, სემინარებსა და ტრენინგებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, ატარებს კვლევებს, ამზადებს სპეციალურ ანგარიშებს, ავრცელებს საჯარო განცხადებებს, მართავს საჯარო დებატებსა და პრეზენტაციებს, მოხსენებით გამოდის სხვადასხვა ღონისძიებებში.

2013 წლიდან დღემდე ქვეყანაში შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებით წამოჭრილ აქტუალურ საკითხებს სახალხო დამცველი 150-ზე მეტი საჯარო განცხადებით და რელიზით გამოეხმაურა, რომელთა მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ პირთა უფლებების დარღვევის პრევენცია იყო.

შშმ პირთა უფლებებზე და ამ მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატზე, მომზადდა სოციალური რეკლამა¹⁰. რეკლამა 2015 წლის ბოლოსა და 2016 წლის დასაწყისში გადიოდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში, ქესტურ ენაზე თარგმანის თანხლებით. ვიდეო–რგოლი განთავსდა სახალხო დამცველის ოფიციალური ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელების ანგარიშებზე.

⁸ ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4573.pdf> [ბოლოს ნანახია: 25.04.2018]

⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 3.

¹⁰ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.youtube.com/watch?v=Bw2JxsbQpG4>>

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან (10 დეკემბერი) დაკავშირებული საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში გამოიცა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე.

შშმ პირთა უფლებების პოპულარიზაციის ღონისძიებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სახალხო დამცველის მიერ საქართველოს რეგიონებში წარმოებული კამპანიები და შეხვედრები. 2015 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა 100-მდე გასვლითი შეხვედრა (სემინარი, მრგვალი მაგიდა, ფოკუს ჯგუფი) გამართეს საქართველოს რეგიონებში, რომლებშიც მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი კანონიერი წარმომადგენლები/მშობლები, საჯარო სკოლების პედაგოგები, თემაზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები და სხვ. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის გაცნობა, გაეროს კონვენციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ასევე შშმ პირთა უფლებრივ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის სტრატეგიული ამოცანები

აპარატის დებულებით გაწერილი ამოცანების შესაბამისად, შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტმა საკონსულტაციო საბჭოს, მონიტორინგის ჯგუფის წევრების, საერთაშორისო და ეროვნული კონსულტატების მონაწილეობით შემდგარი რამდენიმე შეხვედრის¹¹ შედეგად 2019-2021 წლისთვის დაისახა შემდეგი სტრატეგიული ამოცანები:

1. შშმ პირთა ინდივიდუალური და სისტემური უფლებადარღვევის ფაქტების ეფექტური გამოვლენა და რეაგირება;
2. შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის გაძლიერება;
3. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაში შშმ პირთა საკითხებისა და საჭიროებების ინტეგრირების გაძლიერება;
4. შშმ პირთა უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობი ღონისძიებების გაძლიერება;
5. შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე საერთაშორისო უფლებადაცვით მექანიზმებთან თანამშრომლობის ფორმატების გაძლიერება;

¹¹ აღნიშნულ საკითხზე შედგა 10-ზე მეტი სამუშაო შეხვედრა.

6. სახალხო დამცველის საქმიანობაში შშმ პირების და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა.

7. დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება მანდატის ეფექტური განხორციელებისთვის.

დასახული სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შესაბამის საქმიანობებს, შეფასების ინდიკატორებს, შესრულების ვადებსა და პასუხისმგებელ პირთა ჩამონათვალს.

სამოქმედო გეგმა შედგენილია სამი წლის ვადით - იწყება 2019 წლიდან და დასრულება 2021 წელს¹². ამასთან, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია გეგმით გაწერილ საქმიანობებში ცვლილებების განხორციელება.

¹² აღსანიშნავია, რომ გეგმაში მოცემული საქმიანობების დიდი ნაწილი არის მიმდინარე და გაგრძელდება მომვალშიც, ამიტომ მათი შესრულების ვადების დაკონკრეტება ვერ ხერხდება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის 2019-2021 წწ. სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები და დასრულების გარემოებები	საქმიანობები	ვადები	პასუხისმგებელი
მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი და გამოვლენილ დარღვევებზე ეფექტური რეაგირება				
სტრატეგიული ამოცანა 1. შშმ პირთა ინდივიდუალური და სისტემური უფლებადარღვევის ფაქტების ეფექტური გამოვლენა და რეაგირება	1.ა. გამოვლენილ უფლებადარღვევათა გაზრდილი რაოდენობა;	<u>1.1. აპარატის რეგიონულ ოფისებთან პროაქტიულ რეჟიმში თანამშრომლობა</u>	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი
	1.ბ. წარმატებული საქმეების გაზრდილი რაოდენობა;	<u>1.2. შშმ თემთან (განსაკუთრებით რეგიონებში) კომუნიკაციის გააქტიურება შეხვედრების ორგანიზების გზით</u>	2019-2021	დეპარტამენტი
	1.გ. შშმ დეპარტამენტის მანდატთან და საქმიანობასთან დაკავშირებით ჩატარებული შეხვედრების და გავრცელებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა	<u>1.3. შშმ დეპარტამენტის მანდატის და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება (შეხვედრები, საინფორმაციო მასალები)</u>	2019-2021	დეპარტამენტი
	1.დ. აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთგადამკვეთ თემებზე შეთანხმებული საერთო პრინციპები და მიდგომები;	<u>1.4. საქმისწარმოების არსებული წესის გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების ინიცირება</u>	2019	დეპარტამენტის უფროსი
	1.ე. შექმნილი საქმისწარმოების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის ფორმა;	<u>1.5. აპარატის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთგადამკვეთ თემებზე პერიოდული შეხვედრების ორგანიზება და საერთო პრინციპებზე შეთანხმება</u>	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი
	1.ვ. განმცხადებლებთან შეხვედრებისა და სატელეფონო საუბრების აღრიცხვის მექანიზმის დანერგვა;	<u>1.6. საქმისწარმოების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი</u>	2019-2021	დეპარტამენტი
		<u>1.7. რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებაზე სისტემური მიდევნება და მონიტორინგი</u>	2019-2021	დეპარტამენტი
		<u>1.8. სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის გააქტიურება, შეხვედრების ორგანიზება</u>	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი და მოადგილე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის 2019-2021 წწ. სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები და დასრულების გარემოებები	საქმიანობები	ვადები	პასუხისმგებელი
<u>სტრატეგიული ამოცანა 2.</u> შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის გაძლიერება	2.ა. შემუშავებული მონიტორინგის თემატური მეთოდოლოგიები	<u>2.1. თემატური მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება, სრულყოფა და განვითარება</u>	2019-2020	დეპარტამენტი
	2.ბ. შემუშავებული მონიტორინგის სამოქმედო გეგმა/გრაფიკი	<u>2.2. მონიტორინგის პრიორიტეტების განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის შემუშავება</u>	2019	საკონსულტაციო საბჭო და დეპარტამენტი
	2.გ. წლის განმავლობაში ჩატარებული თემატური მონიტორინგების რაოდენობა	<u>2.3. განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად კანონმდებლობის, სტრატეგიული დოკუმენტების, პროგრამების ანალიზი</u>	2019-2020	დეპარტამენტი
	2.დ. მომზადებული სპეციალური ანგარიშების რაოდენობა	<u>2.4. გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტების განხორციელება</u>	2019-2021	დეპარტამენტი
	2.ე. მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა	<u>2.5. მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება</u>	2019-2021	დეპარტამენტი
		<u>2.6. რეკომენდაციების/ანგარიშების მომზადება</u>	2019-2021	დეპარტამენტი
	2.ვ. შემუშავებული სისტემური მიდევნების მეთოდოლოგია	<u>2.7. სისტემური მიდევნების მეთოდოლოგიის შემუშავება</u>	2019	დეპარტამენტის უფროსი და მოადგილე
	2.ზ. სისტემური მიდევნების მიზნით განხორციელებული შეხვედრების რაოდენობა	<u>2.8. მონიტორინგის შედეგებზე სისტემური მიდევნებისთვის საჭირო ფორმატების შექმნა და გამოყენება</u>	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი და მოადგილე
<u>სტრატეგიული ამოცანა 3.</u> სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაში შშმ პირთა საკითხებისა და საჭიროებების ინტეგრირების გაძლიერება	3.ა. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში შესული ცვლილებები შშმ პირთა საჭიროებების ასახვისთვის	<u>3.1. ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება (თანამშრომლებისთვის)</u>	2019-2020	დეპარტამენტის უფროსი
		<u>3.2. ერთობლივი შეხვედრების/ვიზიტების განხორციელება</u>	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი
	3.ბ. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა	<u>3.3. სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ დაგეგმილ მონიტორინგებში შშმ საკითხების ინტეგრირების ხელშეწყობა</u>	2019-2021	აპარატი
		<u>3.4. სახალხო დამცველის პოლიტიკისა და საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში შშმ პირთა მიმართ</u>	2019	დეპარტამენტის უფროსი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის 2019-2021 წწ. სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები და დასრულების გარემოებები	საქმიანობები	ვადები	პასუხისმგებელი
	3.გ. ერთობლივი შეხვედრებისა და ვიზიტების რაოდენობა	მგრძნობიარე მიდგომების ინტეგრირების ხელშეწყობა		
		3.5. სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეთა მიღების, კანცელარიის და ცხელი ხაზის მომსახურების ფარგლებში შშმ პირთათვის მისაწვდომი სერვისის დანერგვისთვის შესაბამისი მოსაზრებების მომზადება და წარდგენა	2019	დეპარტამენტის უფროსი
		3.6. სახალხო დამცველის საქმიანობის შედეგების ამსახველი ინფორმაციის (შეხვედრები, ანგარიშები, ვებ-გვერდი, პრესრელიზები) მისაწვდომ ფორმატებში გავრცელების ხელშეწყობისთვის მოსაზრებების მომზადება და წარდგენა	2019	დეპარტამენტის უფროსი
სტრატეგიული ამოცანა 4. შშმ პირთა უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობი ღონისძიებების გაძლიერება	4.ა. განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა	4.1. მიზნობრივი საგანმანათლებლო მოდულებისა და საინფორმაციო მასალების შემუშავება	2019	დეპარტამენტი
	4.ბ. მონაწილეთა რაოდენობა	4.2. საინფორმაციო/საგანმანათლებლო საქმიანობის სამოქმედო გეგმის შემუშავება	2019	დეპარტამენტის უფროსი
	4.გ. გეოგრაფიული დაფარვის ზრდა	4.3. იდენტიფიცირებულ ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრების/სემინარების/ტრენინგების ჩატარება	2019-2021	დეპარტამენტი
	4.დ. შემუშავებული სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის გეგმა	4.4. შეფასების კითხვარების შემუშავება და ანალიზი	2019	დეპარტამენტი
	4.ე. შემუშავებული მიზნობრივი მოდულები და მასალები	4.5. განმეორებითი საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	2021	დეპარტამენტი
სტრატეგიული ამოცანა 5. შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე საერთაშორისო უფლებადაცვით მექანიზმებთან თანამშრომლობის ფორმატების გაძლიერება	5.ა. საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის მაჩვენებლის ზრდა;	5.1.1. საერთაშორისო ორგანიზაციებში წარსადგენი ანგარიშების, კითხვარების და სხვა დოკუმენტების მომზადება	2019-2021	დეპარტამენტი
	5.ბ. საერთაშორისო ორგანიზაციებში წარდგენილი დოკუმენტების რაოდენობა	5.1.2. საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების ფარგლებში დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა	2019-2021	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის 2019-2021 წწ. სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები და დასრულების გარემოებები	საქმიანობები	ვადები	პასუხისმგებელი
	5.გ. ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობა	<u>5.1.3.</u> საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა	2019-2021	დეპარტამენტი
		<u>5.2.1.</u> საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივ წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება და საერთო თანამშრომლობის მექანიზმების განხილვა	2019-2020	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
სტრატეგიული ამოცანა 6. სახალხო დამცველის საქმიანობაში შშმ პირების და მათი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა	6.ა. შეცვლილია და დამტკიცებულია საბჭოს დებულება;	<u>6.1.</u> საკონსულტაციო საბჭოს დებულების რევიზია	2019	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და საკონსულტაციო საბჭო
	6.ბ. საბჭოს შემადგენლობაში გაიზარდა შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლეთა რაოდენობა;	<u>6.2.</u> საბჭოს შემადგენლობის გაფართოება	2019	აპარატი
	6.გ. გაიზარდა მონიტორინგში მონაწილე შშმ პირთა რაოდენობა;	<u>6.3.</u> ანგარიშებსა და რეკომენდაციებში საბჭოს და შშმ პირთა ორგანიზაციების მოსაზრებების ასახვა	2019-2021	დეპარტამენტი
	6.დ. გაიზარდა მონიტორინგში მონაწილე შშმ პირთა რაოდენობა;	<u>6.4.</u> სახალხო დამცველის მონიტორინგის საქმიანობაში შშმ პირების მონაწილეობა	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი და მოადგილე
	6.დ. შემუშავებულია შშმ პირთა ორგანიზაციების რეესტრი	<u>6.5.</u> ალტერნატიული ანგარიშების მომზადებისას საბჭოს წევრების მოსაზრებების ასახვა	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი და მოადგილე
	6.ე. შედგენილია საინფორმაციო შეხვედრების და ტრენინგები განრიგი	<u>6.6.</u> შშმ პირთა ორგანიზაციების მოძიება და საერთო რეესტრის შექმნა ქვეყნის მასშტაბით	2019	დეპარტამენტის უფროსი
	6.დ. შემუშავებულია თემატური ტრენინგები მოდულები	<u>6.8.</u> შშმ პირთა ორგანიზაციებთან შეხვედრების/ტრენინგების განრიგის შედგენა და თემატიკის/მოდულების შემუშავება	2019	დეპარტამენტის უფროსი
	6.ე. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	<u>6.9.</u> შეხვედრების/ტრენინგების გამართვა შშმ პირებთან, მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან	2019-2021	დეპარტამენტი
	6.ვ. სახელმწიფო უწყებებთან ერთობლივი შეხვედრების რაოდენობა	<u>6.10.</u> სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათ შორის ერთობლივი შეხვედრების ორგანიზების გზით	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი და მოადგილე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის 2019-2021 წწ. სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები და დასრულების გარემოებები	საქმიანობები	ვადები	პასუხისმგებელი
სტრატეგიული ამოცანა 7. დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება მანდატის ეფექტური განხორციელებისთვის	7.ა. დონორებთან წარდგენილი პროექტების რაოდენობა	<u>7.1.</u> საკადრო, ფინანსური და მატერიალური საჭიროებების იდენტიფიცირება და სახალხო დამცველისთვის /შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის წინადადებების/მოსაზრებების წარდგენა	2019 - 2021	დეპარტამენტის უფროსი
	7.ბ. დასაბუთებული მოთხოვნების რაოდენობა	<u>7.2.</u> თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების იდენტიფიცირება და სახალხო დამცველისთვის /შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის წინადადებების/მოსაზრებების წარდგენა	2019 - 2021	დეპარტამენტის უფროსი
	7.გ. გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა	<u>7.3.</u> ექსპერტთა ბაზის შესაქმნელად სპეციალიზაციის სფეროების განსაზღვრა და ექსპერტთა შერჩევა	2019	დეპარტამენტის უფროსი და მოადგილე
	7.დ. შერჩეულ ექსპერტთა რაოდენობა	<u>7.4.</u> დეპარტამენტის სტრატეგიის განახლება, სამოქმედო გეგმის ყოველწლიურად გადახედვა და საჭირო ცვლილებების შეტანა	2019-2021	დეპარტამენტის უფროსი
	7.ე. სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, მინიმუმ კვარტალური შეხვედრების ჩატარება	<u>7.5.</u> სტრატეგიული დაგეგმარების შეხვედრების ორგანიზება	2020-2021	დეპარტამენტის უფროსი
	7.ვ. გასვლით შეხვედრების რაოდენობა, რომლებშიც დეპარტამენტი მიიღებს მონაწილეობას	<u>7.6.</u> საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობა და სასწავლო ვიზიტების განხორციელების მიზნით ინფორმაციის მოძიება და მოსაზრებების წარდგენა	2019-2021	დეპარტამენტი
	7.ზ. უცხოელი კოლეგების/ექსპერტების ვიზიტები საქართველოში და საერთო ღონისძიებებში მონაწილეობის რაოდენობა	<u>7.7.</u> მსგავსი ინსტიტუტების პრაქტიკის მოძიება და გაზიარება	2019-2021	დეპარტამენტი